პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

28 დეკემბერი კვირა 1969 ფასი 2 კაპ.

გამოცემის ნი-ე წელი № 302 (14602)

მკაცრად დავიცვათ შრომის კანონები

ПРАВДА

27 დეკემბრის მოწინავე

ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში ხაყოველთაო ყურადღებითა და პატივცემით არის გარემოცული. კომუნისტური პარტია საბჭოთა ადამიანს ზრდის შეგნებული დისციპლინის სულისკვეთებით, ქმნის შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდის ყველა წანამძღვარს. სახელმწიფო განუწყვეტლივ ზრუნავს მშრომელთა მუშაობის პირობების გაჯანსაღებისა და დასვენებისათვის.

მარტო უკანასკნელ წლებში განხორციელდა ისეთი დიდი სოციალური ღონისძიებანი, როგორიც არის მუშა-მოსამსახურეთა გადასვლა ორ დასვენების და ხუთ სამუშაო დღიან კვირაზე, ხელფასისა და პენსიების გადიდება, საპენსიო ასაკის შემცირება მთელ რიგ კატეგორიათა მუშაკებისათვის, შრომის გარანტირებული ანაზღაურების შემოღება კოლექტიურ მეურნეობებში. კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობამ მიიღო დადგენილება „კოლმეურნეობების წესრთა სოციალური დაზღვევის შესახებ“. ახლა კოლმეურნეები მიიღებენ დახმარებას დროებითი შრომისუუნარობის გამო, უზრუნველყოფილი იქნებიან სხვა სახეობის სოციალური დაზღვევით მეურნეობათა ანარიცხების ხარჯზე. 1970 წლის 1 ივლისიდან ძალაში შევა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლები, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამსწრეანდელმა სესიამ დაამტკიცა. საფუძვლებში დიდმნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა კანონდებულებას შრომის დაცვის შესახებ.

საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობისა და უფლებათა დაცვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია შრომის მოქმედი კანონების განუხრელად დაცვა. საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი იყო დეკრეტები წარმოებაში მუშათა კონტროლის შესახებ, 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღების შესახებ, ბავშვისა და ქალის შრომის დაცვის შესახებ. 1918 წელს ვ. ი. ლენინის მითითებით მიღებულ პირველ „კოდექსი რუსეთის სფსრ კანონებისა შრომის შესახებ. ამ ისტორიული აქტით პირველად დაისახა შრომის დაცვის მოქმედების ფართო და მწყობრი პროგრამა, გამოცხადდა სოციალისტური შრომის კანონმდებლობის ძირითადი პრინციპები. ახლა ეს პრინციპები განხორციელდა, კიდევ უფრო და ყოველმხრივ განვითარდა. საბჭოთა კანონები სიამედოდ უზრუნველყოფენ თვითეული შრომითი უფლებების დაცვას.

სწრაფი ტექნიკური პროგრესი, შრომის მეცნიერული ორგანიზაცია არა მარტო ამაღლებენ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობას, არამედ ამსუბუქებენ კიდევაც მუშაობას. შრომის პირობების სერიოზულ გაუმჯობესებას მიაღწიეს უკანასკნელ ხანს მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხანაში, ურალის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანაში, ნიკოპოლის მილების, ლიუბლინის სამხმებელო-მეჭანიკურ ქარხნებში. კიროვაბადის პურფუნთუშეულის კომბინატში უკვე სამი წელია არ ყოფილა საზეგანაკვეთო სამუშაოთა გამოყენების არც ერთი შემთხვევა არც ერთი ცვლა მუშაობს ვენტილაცია, საამქროებში არ არის ნორმალური ტემპერატურა, არის ორპირი ჰარი, არ ჰყოფნით სინათლე. კადრების დენადობის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ის არის, რომ ზოგიერთი საწარმოში ჯეროვნად არ ზრუნავენ შრომის პირობებისათვის.

შრომის კანონმდებლობის დარღვევა, მუშა-მოსამსახურეთა უფლებების შელახვა სამართლიან საჰიერებს იწვევს. კერძოდ, რედაქციას მოსდის სიგნალები სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნის შესახებ. პროფკავშირმა ორგანიზაციებმა, რომელებსაც დიდი უფლებანი და რწმუნებულებანი აქვთ მინიჭებული, უნდა გააძლიერონ კონტროლი შრომის კანონმდებლობის ზუსტად დაცვისადმი. საჭიროა უფრო ფართოდ ვაწარმოოთ სამართლებრივი პროპაგანდა, ღრმად განვუმარტოთ მოსახლეობას საბჭოთა შრომის კანონები. ამას, უეჭველია, ხელს შეუწყობს სსრ კავშირის შრომის კანონმდებლობის საფუძვლთა მიღება, რომელებზეც მუშაობა უკვე მთავრდება.

შრომის პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის, საწარმოო ტრავმატიზმის, პროფესიულ ავადმყოფობათა მიზეზების და სხვა იმ ფაქტორების აღმოფხვრისათვის ბრძოლა, რომლებიც გავლენას ახდენენ მშრომელთა ჯანმრთელობაზე, პარტიულ ორგანიზაციათა საქმიანობის ფართო ასპარეზია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „მრეწველობაში, მშენებლობასა და ტრანსპორტზე შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკისადმი პარტიული, საბეურნეო და პროფკავშირული ორგანოების უყურადღების გაძლიერების შესახებ“, რომელიც სამი წლის წინათ არის მიღებული, ხაზგასმულია ამ ამოცანის პოლიტიკური მნიშვნელობა, აღნიშნულია, რომ საჭიროა გაძლიერდეს კომუნისტთა აქტივობა მის გადასაჭრელად. წარმოებაში სოციალისტური კანონიერების დაცვისადმი კონტროლი, ყოველდღიური ზრუნვა მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისათვის პარტიულ ორგანიზაციათა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა.

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲕᲐᲮᲜᲐᲖᲔ 100

საახალწლო ნობათები

□ **რუსთავი.** (საკ. კორ.). ამ დღეებში თუჯის სამსხმელო ქარხანაში პირველი ღუმელიდან მიიღეს თუჯის მძიმეწონიანი ნადნობი. პირველი ღუმელიდან ნადნობის მიღება რუსთაველ თუჯამომსხმელთა ხაახალწლო გამოძახილებაა.

ქარხნის პირველი რიგის ღუმელების სამუშაო მთლიანი ტექნოლოგიური ხაზით ექსპლოატაციოდ გადაეცემა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის.

□ **ჯუთაისი** (საკ. კორ.). ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა 23 დეკემბრისათვის შეასრულეს პროდუქციის ვაჭრობისა და რეალიზაციის წლიური დავალება, გეგმის გადამეტებით მოახდინეს 1 მილიონ 300 ათასი მანეთის ნაწარმის რეალიზაცია.

წლიური დავალებები ვადაძე გადაჭარბებით გაანაღდეს ლითოფონის, სატრაქტორო, ელექტრომექანიკური ქარხნების, „ჭუთბარიტის“ სამპართველოს, ავჯის, საკონდიტრო ფაბრიკების, № 1 და №2 სამკერვალო გაერთიანებების კოლექტივებმა.

□ **საქართველოს ქვანახშირის** მრეწველობის საწარმოებმა თერთმეტი დღით ადრე იდღესასწაულეს ახალი წელი, გადაჭარბებით შეასრულეს სათბობის მოპოვების წლიური დავალება. გეგმის გადამეტებით წლის ბოლომდე ამოღებულ იქნება 80 ათასამდე ტონა ქვანახშირი.

ხუთწლედის მეოთხე წლის გეგმები ვადამდე გაანაღდეს ტყიბულქვანახშირტრესტისა და ტყვარჩელქვანახშირტრესტის კოლექტივებმა. კარგა ხანია სათბობს მომავალი წლის ანგარიშში უგზავნიან მრეწველობას ტყიბულქვანახშირტრესტის სტალინისა და ორჯონიკიძის სახელობის შახტები, ტყვარჩელქვანახშირტრესტის № 1, № 2, № 5 და № 6 შახტები, — აცნობა რედაქციას საქართველოს ქვანახშირის კომბინატის უფროსმა დ. ჩიბჭაშიძემ.

□ **მშენებლობის** სამინისტროს № 7 ტრესტ „საქშახტმშენის “კოლექტივმა 20 დეკემბერს გაანაღდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური დავალება. შესრულებულია 18 მილიონ 812 ათასი მანეთის სამუშაოები ქვანახშირის მრეწველობის, შავი მეტალურგიის, ქიმიური მრეწველობის, სამშენებლო მასალათა წარმოების ბაზით. ტრესტის კოლექტივი წლის ბოლომდე დამატებით შეასრულებს ათასობით მანეთის სამუშაოებს, — აცნობა რედაქციას ტრესტის მმართველმა შ. ბარდაშხაძემ.

□ **ბათუმი.** (საკ. კორ.). აპარის მეთამბაქოეებმა ვადამდე — 15 დეკემბრისათვის შეასრულეს სახელწიფოსათვის ხმელი თამბაქოს მიყიდვის გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 2.000 ტონის ნაცვლად ჩაბარებულია 2.015 ტონა ხარისხოვანი თამბაქო.

თამბაქოს ჩაბარების წლიური გეგმა პირველებმა შეასრულეს ბათუმისა და შუახევის რაიონებმა. შუახეველებმა გეგმით გათვალისწინებული 600 ტონის ნაცვლად დაამზადეს 667 ტონა. დიდ წარმატება ჭოიპოვის ხუროსა და ქედის რაიონების კოლმეურნეობებმა.

ᲛᲐᲗ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲡ ᲪᲮᲣᲗᲤᲚᲔᲓᲘ

ზეინკალი -დეპუტატი

თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატში“ არის უბანი, სადაც საექსპორტო ელექტროავტომატებს ამზადებენ. ეს მეტად პასუხსაგები როგორია საწარმოში და აქ მხოლოდ რჩეულნი მუშაობენ. ამ მოწინავეთა შორის არის ამწყობი ზეინკალი, კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. წულაია. აქტიურ საზოგადოებრივ მუშაკს, საქართველოს პოლიტეკნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების მეოთხე კურსის სტუდენტს სამაგალითო შრომითი მოღვაწეები აქვს.

პროფესიის საუკეთესოდ დაუფლებით, დროის ეკონომიით, სამუშაო ზონის გაფართოებით გ. წულაია დღიურ დავალებებს ორმაგი გადაჭარბებით ასრულებს. ცვლაში 70 ავტომატი უნდა აწყოს და მათი რეგულირება მოახდინოს. მაგრამ ცვლის ბოლოს კონვეიერიდან ხშირად 120-150 ცალი მზა ავტომატი ჩამოდის, რომლებსაც გ. წულაიას „პარადი დამღა“ ადევს. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი მხოლოდ უმაღლესი ხარისხისაა და ტექნიკური კონტროლი აღარ სჭირდება. მაგრამ მარტო ეს როდია გ. წულაიას დამსახურება, იგი უბნის ახალგაზრდა მუშებს ეხმარება სრულყოფილად დაეუფლონ ავტომატების აწყობის ოპერაციებს, ამასთან ქარხნის აქტიური რაციონალიზატორია, მის მიერ დანერგილი წინადადებები მაღალეფექტურია.

გ. წულაიამ უკვე შეასრულა ხუთწლედის დავალება, ახლა იგი კისრულობს მომავალი წლის აპრილში, ბელადის დაბადების საიუბილეო დღეებში შეასრულოს 1971 წლის დავალება, კიდევ უფრო ამაღლოს შრომის ნაყოფიერება, ეფექტურად გამოიყენოს სამუშაო დროის ყოველი წუთი, ბრიგადის თვითეულ წევრს დაეხმაროს ელექტროავტომატების აწყობისა და რეგულირების ყველა ოპერაციის დაუფლებაში.

ფოტო ვ. ბერიხიასი.

საახალწლო ზეიმი ჭუთაისში

გუშინ ჭუთაისის საოპერო სცენაზე აჭღერდა „აბესალომ და ეთერი“

სიხარული და ზეიმი, რომელიც მკვიდრობს ჭუთაისს ეწვია, მოულოდნელად არ იყო. მას წინ უძღოდა დიდი შრომა, მონდომება, ჩვენი ეროვნული კულტურის ახალი კერის — ოპერის თეატრის დაბადებისათვის. ქალაქი სადღესასწაულოდ მოირთო, თუმცა, ცამ პირი მოხსნაო რომ იტყვიან, ისეთი ამინდი დადგა. წვიმდა. წვიმას პოეტები ხშირად ცრემლს ადარებენ ხოლმე. თუ კი ასეა, ეს სიხარულის ცრემლები იყო, რადგან ხალხის განწყობილება მხოლოდ მშვიენი, დარიანი ულრუბლო და საზეიმო იყო.

ოპერის გახსნას წინ კიდევ ერთი სახიამოვნო და ღირსშესანიშნავი ამბავი მოყვება უძღოდა— ზ. ფალიაშვილის ძეგლის საფუძვლის ჩაყრა. ხსნის ჭუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე უ. ცქვიტინიძე. მიტინგზე სიტყვებით წარმოთქვეს საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჭუთაისის ფილიალის დეკანმა პ. იმედაშვილმა, გაზეთ „ჭუთაისის“ რედაქტორმა ბ. მეფისაშვილმა, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელ-მუზეუმის დირექტორმა, კულტურის დამსახურებულმა მუშაკმა ვ. ჩინჩალაძემ, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, ჭუთაისელმა პედაგოგმა ს. კუხიანიძემ.

გრანიტის ქვას საბურველი მოხსნეს. ქვაზე ოქროსფრად ამოტვიფრულია წარწერა: „აქ დაიდგმება ზ.ქავარია ფალიაშვილის ძეგლი“. ძეგლის საფუძვლის ჩაყრა ჭუთაისში ქართული კულტურის ზეიმის მხოლოდ შესავალია.

საღამოს ხალხი თეატრისაკენ დაიძრა. ამ შენობაში დაიარსა დიდმა რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა თეატრი, რომელიც დღეს თბილისში მის სახელს ატარებს. აქ, ამ თეატრის სცენაზე ბევრმა ქართველმა მსახიობმა აიღგა ფეხი და მიიღო პირველი თეატრალური ნათლობა.

მაგრამ დღეს თეატრი სულ სხვაგვარად გამოიყურებოდა. ამიტომაც მისი მერიდან დანიშნული ოპერის ხელმძღვანელი, ოპერის ცნობილი მოღვაწენი, მეცნიერები და სხვ.

საღამოს შესავალი სიტყვით ხსნის ჭუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე უ. ცქვიტინიძე. საზეიმოდ ეღერს სსრ კავშირისა და საქართველოს სახელმწიფო ჰიმნები. სიტყვას იღებს პარტიის ჭუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ო. გოგიტიძე. იგი ლაპარაკობს თეატრალურ-მუსიკალურ ტრადიციებზე, რომლებმაც შექმნეს ნიადაგი ჭუთაისში საოპერო თეატრის ჩამოყალიბებისათვის. დიდ მადლობას უხდის ყველას, ვინც აქტიური მონაწილეობა მიიღო ამ საშვილიშვილო საქმეში.

საზეიმო სხდომაზე სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ო. თაქთაქიშვილი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილე ვ. ქვანტრიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბ. ჯაფარიძე.

აქ არიან ავრეთვე სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილე ვ. კუხარსკი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე დ. ჩხეიძიშვილი, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ო. თაქთაქიშვილი, ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ცნობილი მოღვაწეები, ლიზატორია, მის მიერ დანერგილი წინადადებები მაღალეფექტურია.

გ. წულაიამ უკვე შეასრულა ხუთწლედის დავალება, ახლა იგი კისრულობს მომავალი წლის აპრილში, ბელადის დაბადების საიუბილეო დღეებში შეასრულოს 1971 წლის დავალება, კიდევ უფრო ამაღლოს შრომის ნაყოფიერება, ეფექტურად გამოიყენოს სამუშაო დროის ყოველი წუთი, ბრიგადის თვითეულ წევრს დაეხმაროს ელექტროავტომატების აწყობისა და რეგულირების ყველა ოპერაციის დაუფლებაში.

ფოტო ვ. ბერიხიასი.

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

მიფრინავს „ინტერკოსმოს-2“

მშვიდობიანი მიზნით კოსმოსური სივრცის კვლევისა და გამოყენების დარგში სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობის პროგრამის შესაბამისად 1969 წლის 25 დეკემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი „ინტერკოსმოს-2“.

თანამგზავრი „ინტერკოსმოს-2“ განკუთვნილია დედამიწის იონისფეროს მახასიათებელთა გამოსაკვლევად. კერძოდ გამოიკვლევს ელექტრონებისა და დადებითი იონების კონცენტრაციას, აგრეთვე ელექტრონულ ტემპერატურას თანამგზავრის ახლოს და ელექტრონების საშუალო კონცენტრაციას თანამგზავრსა და დედამიწის მიმღებ პუნქტებს შორის.

თანამგზავრი „ინტერკოსმოს-2“ გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 206 კილომეტრი;

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 1.200 კილომეტრი.

— მიმოქცევის საწყისი პერიოდი — 98,5 წუთი;

— ორბიტის დახრილობა — 48,4 გრადუსი.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა დამზადებულია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირში იმ ტექნიკურ დავალებათა მიხედვით, რომლებიც შეიმუშავეს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკების სპეციალისტებმა.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სპეციალისტები მონაწილეობდნენ თანამგზავრის სამეცნიერო აპარატურის გამოცდაში და დაეხმარნენ მის გაშვებას.

„ინტერკოსმოს-2“ თანამგზავრის საშუალებით შესრულებულ გაზომვებთან ერთად ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბის რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ობსერვატორიები აწარმოებენ იონოსფერულ დაკვირვებას და იღებენ თანამგზავრზე დადგმულ რადიოგადამცემის „მაიაკის“ სიგნალებს შეთანხმებული პროგრამით.

თანამგზავრის აპარატურის მუშაობაში მართვისათვის შექმნილია ოპერატიული ჯგუფი, რომელშიც ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სპეციალისტები შედიან.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი თბილისიდან გაემგზავრა

27 დეკემბერს კიევში გაემგზავრა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი **იანოშ პეტერი**, რომელიც ორ დღეს იყო თბილისში.

ი. პეტერთან და მის თანმხლებ პირებთან ერთად გაემგზავრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **ა. ა. სმირნოვი** და საბჭოთა კავშირის ელჩი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში **ფ. ე. ტარასოვი**.

სსრ კავშირის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით მორთულ აეროდრომზე ი. პეტერი გააცილეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა **გ. ი. ჩოგოვაძემ**, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა **გ. ნ. ჯიბლაძემ**, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **შ. ე. ბუხრაშვილმა**, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარემ, რესპუბლიკური გაზეთის „კომუნისტის“ რედაქტორმა **დ. ვ. მჭედლიშვილმა**, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებულმა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში **რ. ხ. ელიგულაშვილმა**, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **გ. ნ. მელაძემ**, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალურმა მდივანმა **ი. მ. ტაბაღუამ**, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო-საკონსულო განყოფილების გამგემ **გ. ჯიპაშვილმა**. (საქდესი).

ტერორის მსხვერპლნი

რომი, 27 დეკემბერი (საქდესი). მილანის ერთ-ერთ საავადმყოფოში გარდაიცვალა ანჯელო სკალა, 61 წლის გლეხი ბოქმის პროვინციიდან. იგი მძიმედ დაიჭრა ამა წლის 12 დეკემბერს ბომბის აფეთქების დროს, რომელიც ტეროროისტებმა შეაგდეს მილანის ეროვნული სასოფლო-სამეურნეო ბანკის შენობაში.

ამრიგად, პროვოკაციის შედეგად დაღუპულთა საერთო რიცხვმა მილანოში 15 კაცს მიაღწია.

გრძელდება გამოძიება ტერორისტთა საქმის გამო, რომელებმაც აფეთქებათა სერია მოაწყვეს რომსა და მილანოში ორი კვირის წინათ.

ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲐ ᲒᲔᲛᲖᲔ

ნიუ-იორკი, 27 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ ჰავაის კუნძულების ჩრდილო-დასავლეთით 1.500 მილზე აფეთქდა ამერიკის საჰრანსპორტო გემი „ბეჯერ სტეიტი“, რომელსაც საომარი მასალები მიჰქონდა ამერიკის დანაწყის სამხედრო ბაზაში (სამხრეთი ვიეტნამი).

როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების წარმომადგენელმა განაცხადა, ხომალდზე იყო 8.900 რაკეტა და ბომბი, რომელთა საერთო აფეთქების სიმძლავრე 2.000 ტონა ტრინიტროტოლუოლი იყო. როგორც გარაუდობენ, აფეთქება მოხდა იმის გამო, რომ შტორმიან ამინდში ბევრი წყალი მოხვდა საჭაბე განყოფილებაში.

ეკიპაჟის 45 წევრმა დატოვა „ბეჯერ სტეიტი“ კატასტროფამდე ცოტა ხნით ადრე. 14 მეზღვაური საბერძნეთის გემმა აიყვანა, რომელიც იქვე მისწრებლად აღმოჩნდა, დანარჩენების ბედი ჯერჯერობით გაურკვეველია.

ამერიკა მოგზაურობს

ვაშინგტონი, 27 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ აზიისა და წუნარა ოკეანის 10 ქვეყანაში სამოგზაუროდ წავიდა ვიცე-პრეზიდენტი ს. აგნიუ.

ტრადიციის (კალიფორნიის შტატი) ვიოლაბაზაში გაჩერების დროს აგნიუმ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მისი მისიის ერთ-ერთი მთავარი მიზანია გამოარკვიოს, თუ რა რეაქცია გამოიწვია ეგრეთწოდებულმა „გუამის doქტრინამ“, რომელიც პრეზიდენტმა ნიქსონმა წამოაყენა წელს ზაფხულში აზიაში მოგზაურობის დროს.

ეს doქტრინა ითვალისწინებს ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური პოლიტიკის განხორციელებას აზიაში. ამასთანავე ამერიკელი სტრატეგები ცდილობენ თავიანთ „მოკავშირეებს“ დააკისრონ ამ ქვეყნების წილთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობის ხარჯების მეტი ნაწილი.

ჰონოლულუში (ჰავაის კუნძულები) გაჩერების დროს აგნიუ შეხვდა წუხარი ოკეანის რაიონში მყოფი ამერიკის შეერთებული შტატების ნიუ-იორკის მეტროს მუშაობაც კი შეწყდა. ქალაქის სამი ძირითადი აეროპორტი დაიხურა.

როგორც ამბობენ ასეთი ძლიერი ნამქერის ნიუ-იორკში არ ყოფილა უკვე 22 წელია.

ᲒᲠᲘᲒᲐᲚᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ

ნიუ-იორკი, 27 დეკემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს გრიგალმა გადაუარა, რასაც მოჰყვა მსხვერპლი და ნგრევა ლუიზიანის, ჯორჯიისა და ფლორიდის შტატებში.

უკანასკნელ დღეებში შტორმიანი ამინდის ეპიცენტრში აღმოსავლეთი სანაპიროდან ახალი ინგლისის შტატებისაკენ გადაინაცვლა. გრიგალს მოჰყვა ძლიერი თოვა ჭალ ნიუ-იორკსა და მის გარეუბნებში, აგრეთვე მეზობელ ნიუარკსა და მერილენდის შტატში.

ნიუ-იორკის ქუჩებში, ზოგიერთ რაიონში ნამქერის შედეგად მთლიანად პარალიზებულია ჰაქალაქო ტრანსპორტი. შენელდა მოძრაობა მიწისზედა რკინიგზებზე. შეფერხდა საქალაქთაშორისო ავტობუსების გასვლა ნიუ-იორკის მეტროს მუშაობაც შენელდა. ჭალაქის სამი ძირითადი აეროპორტი დაიხურა.

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ზ. მჭედლიძე.

საზეიმო სხდომის შემდეგ გაემართა საოპერო თეატრის ჭუთაისის ფილიალის პირველი პრემიერა. დარბაზს მოეფინა ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი ჰანგები.

პირველი სპექტაკლის — „აბესალომ და ეთერის“ დამდგმელი რეჟისორია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ბ. გაბელია, დირიჟორი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე თ. კობახიძე, მხატვარი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. ასკურავა, ბალეტმეისტერი ა. მაჭარაძე.

სპექტაკლში მთავარ პარტიებს ასრულებდნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი ზ. ანჯაფარიძე (აბესალომი), საქართველოს სსრ სახალხო არტისტი მ. ამირანაშვილი (ეთერი), სსრ კავშირის სახალხო არტისტი პ. ამირანაშვილი (მურმანი), საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ნ. ტუღუში (მარეხი), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ბ. ტორონჯაძე (თანდარუხი), სოლისტი ი. ჟუთაველაძე (ავთო მეფე).

...ჭუთაისში საოპერო თეატრის ფილიალის გახსნა ქართული საბჭოთა კულტურის ნამდვილ დღესასწაულად გადაიქცა.

ზ. რცხილაძე,
შ. ჯავახაძე.
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1970 წლის სახელმწიფო გეგმა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის დეპუტატ ე. მ. ჯაფარიძის საბოლოო სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1970 წლის გეგმის განხილვამ ცხადყო სრული ერთსულოვნება.

საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივი კომისიების დასკვნაში და დეპუტატების გამოსვლებში აღინიშნა, რომ სახალხო მეურნეობის 1970 წლის გეგმა ითვალისწინებს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომ განვითარებას და მშრომელთა მატერიალურ-კულტურული დონის ამაღლებას. მათ წამოაყენეს მთელი რიგი საყურადღებო საკითხები, რომლებიც ეხება ცალკეული სამინისტროების, უწყებებისა და დაწესებულებების საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებების და მათი აღმოფხვრის ღონისძიებების.

დიდი ყურადღება მიექცა არსებულ საწარმოო სიმძლავრეთა უფრო ეფექტიანად გამოყენებას, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდისა და მისი რეზერვების გამოვლინების საკითხებს, საწარმოთა და მშენებლობათა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გაუმჯობესების საქმეს.

დეპუტატებმა ზ. ე. შარტავამ, ს. შ. დრიაევამ, ა. გ. ყანჩელმა, ა. ლ. ვარდოშვილმა, ვ. ი. მისიაურიძემ, ლ. ი. სკამკოლიშვილმა, რ. ა. ჯაფარიძემ, ა. ვ. ბერიძემ, ო. გ. შენგელაიამ, ა. ი. კაპანაძემ, ა. ს. ჯვარიძემ დააყენეს საკითხი საბინაო და კომუნალური დანიშნულების ობიექტების მშენებლობისათვის დამატებითი კაპიტალური დაბანდების გამოყოფის შესახებ. ჩვენ მივგვიჩნიეთ, რომ იმ ობიექტების მშენებლობა, რაზეც ილაპარაკეს დეპუტატებმა, უდავოდ საჭიროა, მაგრამ, როგორც ჩვენს მოხსენებაში აღვნიშნე, მთელი რიგი სამინისტროები, უწყებები და ადგილობრივი საბჭოები ვერ იყენებენ ამ ხაზით მათთვის გამოყოფილ სახსრებს და ამ პირობებში დამატებითი თანხების გამოყოფა არ იქნებოდა მიზანშეწონილი.

1966-1968 წლებში საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილი დაფინანსების ყველა წყაროდან (ინდივიდუალური მშენებლობის გარდა) სახსრების აუთვისებლობის გამო საექსპლოატაციოდ ვერ გადაეცა 385 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ანუ გეგმის თითქმის ერთი მესამედი. ამავე პერიოდში სამხრეთ ოსეთში საბინაო მშენებლობის გეგმა შესრულდა მხოლოდ 61 პროცენტით და საექსპლოატაციოდ ვერ გადაეცა 5 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ასევე არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სამხრეთ ოსეთში საბინაო მშენებლობა მიმდინარე წელსაც. 11 თვეში საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის წლიური გეგმა შესრულებულია მხოლოდ 30 პროცენტით.

ბუნებრივია, ეს ფაქტები ჩვენ უნდა გამოვიყენოთ, რათა უფრო მაღალ დონეზე ვიყვანოთ ქალაქის მოსახლეობის მომსახურებასთან უშუალოდ დაკავშირებული ყველა სამსახურის მუშაობა.

ზშირად გვისაყვედურებენ, რომ ჩვენს ქალაქში არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია საგზაო მეურნეობა. დიახ, ჩვენ ეს გვესმის და მტკივნეულად განვიცდით მას. ბევრი ქუჩის საფარი მართლაც ცუდ მდგომარეობაშია. უფრო მეტიც, ქალაქში არის ქუჩები, რომლებსაც საერთოდ არა აქვთ საფარი.

საგზაო მეურნეობის ასეთი მდგომარეობა გამოწვეულია იმით, რომ ქალაქი სწრაფი ტემპით ვითარდება და შეზღუდულია საგზაო მშენებლობისათვის სახსრების გამოყოფა.

საგზაო მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრები ძირითადად ხმარდებოდა ახალ საცხოვრებელ მასივებში და ქალაქის რეკონსტრუირებულ ნაწილებში გაუმჯობესებული გზების გაყვანას.

დიდ სიძნელეებს განიცდიდა ინერტული მასალების მიღებაში, როგორც რაოდენობის, ისე ხარისხობრივი თვალსაზრისით. წინათ საქალაქო საბჭოს აღმასკომს თავის უბრალებს ამოცანად მიაჩნია უფრო მაღალ დონეზე ამაღლოს

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՈՎԵՏԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԳԵՐԱԳՈՅՆ ԽՈՐՀՐԴԱԿԱՆ ՀՐԱՄԱՆ

(Տե՛ս էջ 3-րդ)

Ա. Ա. Ալեքսանդրովի

Ծնվել է 1883 թվականին Սամարկանդում։ Ավարտել է Սամարկանդի ռազմական դպրոցը։ Ռուսական բանակում ծառայել է 1903 թվականից։ Մասնակցել է Առաջին համաշխարհային պատերազմին։ Ռուսական կայսերական բանակի գնդապետ։ Ռուսական հեղափոխությունից հետո անցել է Կարմիր բանակի կողմը։ Քաղաքացիական պատերազմի տարիներին եղել է Կարմիր բանակի զորամասերի հրամանատար։ Ռուսական ֆեդերատիվ սոցիալիստական խորհրդային հանրապետության Գերագույն խորհրդի անդամ։ Ռուսական ֆեդերատիվ սոցիալիստական խորհրդային հանրապետության Գերագույն խորհրդի նախագահության անդամ։ Ռուսական ֆեդերատիվ սոցիալիստական խորհրդային հանրապետության Գերագույն խորհրդի նախագահության նախագահ 1938 թվականից։ Ռուսական ֆեդերատիվ սոցիալիստական խորհրդային հանրապետության Գերագույն խորհրդի նախագահության նախագահ 1946 թվականից։ Ռուսական ֆեդերատիվ սոցիալիստական խորհրդային հանրապետության Գերագույն խորհրդի նախագահության նախագահ 1950 թվականից։ Ռուսական ֆեդերատիվ սոցիալիստական խորհրդային հանրապետության Գերագույն խորհրդի նախագահության նախագահ 1954 թվականից։ Ռուսական ֆեդերատիվ սոցիալիստական խորհրդային հանրապետության Գերագույն խորհրդի նախագահության նախագահ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

კამათი მოხსენებათა და თანამოხსენების გამო

(დასასრული)

სოფლის მეურნეობის აღმავლობას დიდად შეუწყო ხელი მისმა აღჭურვამ ახალი ტექნიკით. ახლა რაიონში გვაქვს 350 ტრაქტორი, 220 ავტომანქანა, 60-ზე მეტი მარცვლის ასაღები კომბაინი და სხვა ტექნიკა.

დიდი გარდაქმნებია რაიონის კულტურულ ცხოვრებაში. ახლა წალკის რაიონში სკოლებსა და კულტურულ-საგანმანათლო ე ბ ლ დაწესებულებებს ფართო ქსელი. წარმატებით ემსახურება ხალხს 4 კულტურის სახლი, 21 კლუბი, 27 სოფლის ბიბლიოთეკა, სამი კინოთეატრი და სხვა. 1950 წელს რაიონში 7 ათასი ოჯახი ცხოვრობდა მიწურებში. ახლა თუ სადმე შეგხვდებათ მიწურა, უნდა იფიქროთ, რომ ეს მხოლოდ სამუზეუმო ძვირფასთაგან.

წარმატებები რაიონის კულტურისა და ეკონომიკის განვითარებაში ბევრად უფრო თვალსაჩინო იქნებოდა, რაციონალურად რომ გვიყენებდეთ მთელ რეზერვებს. საჭიროა ავამაღლოთ მიწათმოქმედების კულტურა, დავნერგოთ მექანიზაცია. მემინდვრეობასა და მეცხოველეობაში, გავიფართოთ მელიორაციის სამუშაოთა ფრონტი, უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ ადგილობრივი და მინერალური სასუქები.

მაგრამ მთელი რიგი საკითხების გადაჭრა ჩვენ არ შეგვიძლია ზემდგომი ორგანოების დახმარების გარეშე. დაბა წალკის კულტურის სახლი აგებულია 1922 წელს. შენობა უკვე დაძველდა და უვარგისია. ვთხოვთ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს განიხილოს წალკაში კულტურის სახლის შენებლობის საკითხი. რაიონის მთელ რიგ სოფლებში სკოლებს არა აქვთ შესაფერისი შენობები. ვთხოვთ განათლების სამინისტროს, რომ გაითვალისწინოს ეს მდგომარეობა. რაიონულ ცენტრში არის 35-საწოლიანი საავადმყოფო, რაც მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ გადაწყვიტა 1971 წელს დაიწყოს 240-საწოლიანი საავადმყოფოს შენებლობა. საჭიროდ მიგვაჩნია შენებლობა დაიწყოს 1970 წელს.

დეპუტატ
ვ. ი. მისიურინის
სიტყვა

ნება მიბოძეთ მოკლედ შევეხო თბილისის ელექტროტრანსპორტის ქარხანას, სადაც ვმუშაობ ზეინკალ-მექანიკოსად. ჩვენი საწარმოს პროდუქცია იგზავნება მსოფლიოს 50 ქვეყანაში. მათ შორის იაპონიაში, ბრაზილიაში, ინდოეთში, არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში, თურქეთში, ირანში და სხვ.

საწარმოს კოლექტივი ყოველთვის დიდი გადაკვრებით ასრულებდა პროდუქციის გამოშვების გეგმებს. მაგრამ 1968-1969 წლებში ქარხანა ჩამორჩა. ჩემი აზრით, ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ქარხანას მეტისმეტად გაუდიდდეს პროდუქციის გამოშვების გეგმა. ამავე დროს არ გაითვალისწინეს მისი აღჭურვა უახლესი ტექნიკით, უზრუნველყოფა კვალიფიციური კადრებით და სხვადასხვა მასალებით.

უკანასკნელ ხანებში ქარხნის კოლექტივმა დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი და მომზადა ბაზა იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულოს მომავალი წლის საწარმოო დავალებანი. მაგალითად, განხორციელდა საამქროს რეკონსტრუქცია, ასზე მეტმა კაცმა დაისწავლა სხვადასხვა სპეციალობა, 289 მუშამ აიმაღლა კვალიფიკაცია და სხვ. ახლა ქარხანაში 6 ბრიგადა ატარებს კომუნისტური შრომის კოლექტივის სპატიო წოდებას, 136 მუშა კომუნისტური შრომის დამკვრელია.

სესიის წინაშე მინდა დავაყენო შემდეგი საკითხები: საწარმოს მუშა-მოსამსახურეებისათვის შენდება საცხოვრებელი სახლი. საჭიროა შეგიღოთ ყველა ზომა, რომ მისი მშენებლობა დამთავრდეს 1970 წელს. ქარხანაში უნდა აშენდეს ახალი საამქრო. მაგრამ ამისათვის არა გვაქვს ტერიტორია. საჭიროა თბილისის მშრომელთა დეპუტატების აღმასკომმა გამოგვიყოს მიწა.

დეპუტატ
ა. ვ. ბერიძის
სიტყვა

ქარელის რაიონის მშრომელები მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ სახალხო დოვლათის შექმნასა და სახელმწიფო გეგმებისა და ნაკისრი ვალდებულების შესრულებაში.

შესაბამისად იზრდება რაიონის ბიუჯეტის მოცულობაც. თუ 1962 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მოცულობა შეადგენდა 2.071 ათას მანეთს, 1970 წლისათვის რაიონის ბიუჯეტები იზრდება 3.220 ათას მანეთამდე, ანუ 55,5 პროცენტით. განსაკუთრებით გაიზრდება ხარჯები სოციალურ-კულტურუ ლ ი ღონისძიებებისათვის. 1.150.0 ათასი მანეთი ჯარბი შემოსავალი შობა-მარდა რაიცენტრის კეთილმოწყობისა და სოციალურ-კულტურული ღონისძიებების დაფინანსებას. გარდა ამისა არსებული საბიუჯეტო უფლებების შესაბამისად სასოფლო და სადაბო საბჭოებს დაურჩათ მნიშვნელოვანი რაოდენობის ჯარბი შემოსავალი, აღნიშნული სახსრების ათვისების უზრუნველყოფის მიზნით საჭიროდ მიმაჩნია შესწავლილ იქნას რაიონების მიხედვით ფუძადი რესურსების ოდენობა და დაგეგმილი ღონისძიებები და მისი მიხედვით ხდებოდეს საჭირო სამშენებლო მასალების განაწილება. სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ. ქარელის რაიონის ფუძადი შემოსავალ სავსებით აკმაყოფილებს ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებების ხარჯებს და მნიშვნელოვან სახსრებს გადასცემს რესპუბლიკის ბიუჯეტს ძირითადად ბრუნვის გადასახადის სახით. ბრუნვის გადასახადის გადამხდელი საწარმოები და დაწესებულებები სისტემატურად ასრულებენ პროდუქციის წარმოების, რეალიზაციის და მათ ბიუჯეტში შენატანების გეგმებს, მაგრამ ასე არ ითქმის საქართველოს შაქრის კომბინატის მიერ გამომუშავებული საკვები ბადაგის რეალიზაციის მიმართ. ამ პროდუქციის ძირითად მომხმარებლად ითვლება გომის სპირტის ქარხანა, მაგრამ იმის გამო, რომ ამ უკანასკნელს ბადაგი პირველ რიგში შემოაქვს რესპუბლიკის გარედან, შაქრის კომბინატს უფერხდება მისი რეალიზაცია. ამის გამო კი ბიუჯეტი დროულად ვერ იღებს მნიშვნელოვან სახსრებს. საჭირო იქნება სამტრესტის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინოს აღნიშნული გარემოება.

მე წილად მხვდა ბედნიერება დავსწრებოდი კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო III ყრილობას. დღევანდელ სესიას მინდა მოვახსენო, რომ რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა და მათ შორის სოფელმა და ქალაქებმა. აიგო და საექსპლუატაციოდ გადაეცა კინოთეატრების შენობები, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, მაღაზიები, შენდება სახელმწიფო თეატრის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის შენობები და სხვა ობიექტები.

ამასთან რაიონის სოფლებსა და თვით ქალაქ ახალციხის კეთილმოწყობისა და გამშვენიერების საქმეში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ქალაქ ახალციხეში ბევრი ქუჩა კეთილმოუწყობელია, ქალაქს არა აქვს კანალიზაცია, საცხოვრებელი სახლების ნაწილი სიძველის გამო ავარიულ მდგომარეობაშია. რაიონული საავადმყოფო ემსახურება არა მარტო ახალციხის, არამედ მნიშვნელოვანწილად მესხეთ-ჯავახეთის ყველა რაიონის მოსახლეობასაც, რომელიც მოთავსებულია სრულიად შეუფერებელ არაბებურ შენობაში. მეშახტეთა ქალაქ ვალეში, სადაც 10.000-ზე მეტი მცხოვრებია, 440 მოსწავლისათვის გათვალისწინებულ ერთ სასკოლო შენობაში მოთავსებულია ორი საშუალო სკოლა 1.560 მოსწავლით.

ვთხოვ შესაბამის სამინისტროებს გამოძებნონ დამატებითი თანხები უახლოეს წლებში ქალაქ ახალციხეში ქუჩების, კანალიზაციის და სხვა კეთილმოწყობის სამუშაოების შ ე ს ასრულებლად. ავრთვე ქ. ახალციხეში საცხოვრებელი სახლების, რაიონული საავადმყოფოს, ხოლო ქ. ვალეში საშუალო სკოლისა და საბავშვო სახლის მშენებლობისათვის.

დეპუტატ
ნ. დ. ბერიძის
სიტყვა

მრეწველობის, ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის ქვეკომისიამ შეისწავლა საკითხი და თავისი წინადადებანი წარმოადგინა რეა სხვადასხვა სამინისტროსა და უწყების 1969 წლის ბიუჯეტის და გეგმის მოსალოდნელი შესრულების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ ყველანი, გარდა კავშირგაბმულობის სამინისტროსი, ძირითადად წარმატებით ამთავრებენ 1969 წელს.

ამჟამად კავშირგაბმულობის სამინისტროს ხელმძღვანელობა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს მითითებათა საფუძველზე ახორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს მდგომარეობის მკვეთრად გაუმჯობესების მიზნით, ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშაობა განსწაოს ამ დარგში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

მუდმივი კომისიის მიერ განხილული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: მგზავრთა მომსახურეობის მდგომარეობა სამოქალაქო ავიაციის თბილისის აეროპორტში, ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილებაში. საქართველოს სახელმწიფო ნავსადგურებში, თბილისის საქალაქო ტრანსპორტზე და სხვა.

ნება მომეცით მოგახსენოთ მეტროპოლიტენის მუშაობის არსებულ მდგომარეობაზე და შემდგომი განვითარების საკითხებზე. ამჟამად მეტროპოლიტენს ყოველდღიურად გადაჰყავს 220-225 ათასამდე მგზავრი. თუ მგზავრთა გადაყვანის თვითღირებულება 1966 წელს 12,2 კაპიკს აღწევდა, ამჟამად 6,5 კაპიკამდე შემცირდა. ვიმედოვნებთ, რომ თბილისის მეტროპოლიტენი მალე რენტაბელურ მუშაობას,

ვაგზალ-ელექტროდეპო ს სადგურებს შუა მეორე ხაზზე მოძრაობის გახსნასთან დაკავშირებით მკვეთრად გაუჭირდებოდება მგზავრთა მომსახურება, მატარებლთა შორის მოძრაობის ინტერვალი 7,5 წუთიდან 3 წუთამდე შემცირდება და შემდგომში, თუ კი ეს საჭირო იქნება, გვაქვს საშუალება ინტერვალი 1,5 წუთამდე შევამციროთ.

მინდა მოვახსენო სესიის მონაწილეებს, რომ მეტროპოლიტენის საწარმოო კოლექტივი გაკეთებს ყველაფერს იმისათვის, რომ უზრუნველყოს 1970 წლის გეგმით გათვალისწინებული კაპიტალური დაბანდებების ათვისება და მეტროპოლიტენის ყველა საწარმოო-ტექნიკური მაჩვენებლების წარმატებით შესრულება.

დეპუტატ
ო. გ. შენგელიას
სიტყვა

საქართველოს სსრ 1970 წლის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი, რომლებიც წარმოდგენილია ამ სესიაზე განსახილველად, ითვალისწინებენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ განვითარებას.

ამ საქმეში სხვა რაიონებთან ერთად გარკვეული წვლილი მიუძღვის სამტრედიის რაიონსაც, რომლის ეკონომიკა სწრაფი ტემპით ვითარდება. რაიონის მრეწველობამ 103,8 პროცენტით შეასრულა თერმოტრი თვის გეგმა. გაიზარდა სამრეწველო პროდუქციის გამოშვების ტემპი და ხარისხობრივი მაჩვენებლები.

სამტრედიის სავაგონო დეპოს კოლექტივმა, სადაც ვმუშაობ, ერთ-ერთმა პირველმა მოიპოვა ამიერკავკასიის რკინიგზაზე კომუნისტური შრომის საწარმოს სახელო. დეპოს კოლექტივი წარმატებით ასრულებს გეგმებს, ზრდის შრომის ნაყოფიერებას და ამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას.

რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა სერიოზულ სიძნელეთა მიუხედავად, რომლებიც გასული ზამთრის არახელსაყრელი ამინდის პირობებმა გამოიწვია, გადაჭარბებით შეასრულეს მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები.

მინდა შევეხო ზოგიერთ საკითხს, რომლებიც აუცილებელ გადაწყვეტას მოითხოვენ. უწინარეს ყოვლისა ქ. სამტრედიაში აუცილებელია კანალიზაციის მოწყობა.

ვთხოვ სესიას დაავალოს რკინიგზის სამმართველოს და საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს წილობრივი მონაწილეობით დაგეგმონ რკინიგზაზე მიტა აქვს. მე გიამბეთ, რა შეიმთხვა ჯინჯიხაშვილს ჰადრაჟის საათის გადამკიდეს. ო, ცაიტნოტი — ეს საშინელი საქმეა. მაგრამ ამ დღეებში ცაიტნოტში მარტო მოჰადრაჟედი როდი არიან. ცაიტნოტშია მთელი წელიწადი — 1969 წელი. საცა არის აღამი ჩამოვარდება და გამოიწდება 1970.

სალო ფლორი.

ს. გ. იშხანოვი



გარდაიცვალა თვალსაჩინო პარტიული და საბჭოთა მუშაკი, სკკპ წევრი 1925 წლიდან, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი **სერგი მარტინის-ძე იშხანოვი.**

ს. მ. იშხანოვი დაიბადა 1904 წელს თბილისში, ხელოსნის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო სამრევლო სკოლაში, შემდეგ კი შევიდა თბილისის მესამე უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში. ორი წლის შემდეგ სასწავლებელი დატოვა, ვინაიდან მშობლებს სწავლის ქირის გადახდა არ შეეძლოთ. 12 წლის ასაკიდან ს. მ. იშხანოვს მოუხდა დაწყო შრომითი ცხოვრება, ემუშავნა სხვადასხვა სახელოსნოებსა და მაღაზიებში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი ერთხანს მუშაობდა შიკრიკად თბილისის საქალაქო რევკომში, ხოლო 1922 წლიდან ტრამვაის კონდუქტორად. 1924 წელს მას ირიგენ ტრამვაისა და მუყაოს ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტის მდივნად. შემდეგ მუშაობს კომკავშირის არსებულის რაიკომის მდივნად, საქართველოს ალკ(ბ) ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგედ, 1929 წელს კი არჩეულ იქნა საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

1931 წელს ს. მ. იშხანოვი პარტიულ სამუშაოზე გადადის. მთელი რიგი წლების განმავლობაში მუშაობს პარტიის ახალქალაქის, ახალციხის, ახალციხის მესამე ბარისობის, 26 კომისრის სახელობის, კიროვის რაიონების მდივნად. 1938-44 წლებში ს. მ. იშხანოვი საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანია.

1944-დან 1952 წლამდე ს. მ. იშხანოვი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეა, 1954 წლიდან მუშაობს სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივ წარმომადგენლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან.

თავისი სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში ს. მ. იშხანოვს ეჭირა სხვადასხვა პასუხსაგები თანამდებობანი მოსკოვის საბჭოს ორგანიზაციებში.

ს. მ. იშხანოვი არაერთგზის იყო არჩეული საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და მისი ბიუროს წევრად, სომხეთის კპ ცენტრალური კომიტეტის წევრად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

საბჭოთა სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის ს. მ. იშხანოვი დაჯილდოებული იყო ლენინის, შრომის წითელი დროშის, სამამულო ომის პირველი ხარისხის და წითელი ვარსკვლავის ორდენებით, აგრეთვე მედლებით.

ხსოვნა კომუნისტური პარტიის ერთგული შვილის, შესანიშნავი ადამიანის, გულისხმიერი ხელმძღვანელის, კარგი მეგობრისა და ამხანაგისა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

30 დეკემბერს ავტომოტოლატარიის მოგებათა ტირაჟია

ჩვენს ქვეყანაში მთავრდება სსრ კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშეწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების მეოთხე ავტომოტოლატარიის მეორე გამოშვების ბილეთების რეალიზაცია. 30 დეკემბერს მოსკოვში ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალურ რადიოკლუბში გაიმართება მოგებათა ტირაჟი.

სსრ კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშეწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის ავტომოტოლატარიის მომწყობ სამმართველოში საკლესიო კორესპონდენტს აცნობეს, რომ მთავარ კვირაში გათამაშდება 600.000 მოგება, მათ შორის 1.080 ავტომობილი „ვოლგა“, „მოსკვიჩი“, „ზაპოროჟეცი“, 6.900 მოტოციკლი, 7.320 მოტოროლერი და მოპედი, 3.840 ნავის მოტორი, 4.860 რადიომიმღები „ვეფ-ტრანზისტორ — 12“, 576.000 ფულადი მოგება.

ლატარიის ბილეთები იყიდება არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშეწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების პირველადს ორგანიზაციებში, შენახველ სალაროებში, ავტომოტოლატარიის მომწყობ სამმართველოში საკლესიო კორესპონდენტს აცნობეს, რომ მთავარ კვირაში გათამაშდება 600.000 მოგება, მათ შორის 1.080 ავტომობილი „ვოლგა“, „მოსკვიჩი“, „ზაპოროჟეცი“, 6.900 მოტოციკლი, 7.320 მოტოროლერი და მოპედი, 3.840 ნავის მოტორი, 4.860 რადიომიმღები „ვეფ-ტრანზისტორ — 12“, 576.000 ფულადი მოგება.

ლატარიის ბილეთები იყიდება არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშეწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების პირველადს ორგანიზაციებში, შენახველ სალაროებში, ავტომოტოლატარიის მომწყობ სამმართველოში საკლესიო კორესპონდენტს აცნობეს, რომ მთავარ კვირაში გათამაშდება 600.000 მოგება, მათ შორის 1.080 ავტომობილი „ვოლგა“, „მოსკვიჩი“, „ზაპოროჟეცი“, 6.900 მოტოციკლი, 7.320 მოტოროლერი და მოპედი, 3.840 ნავის მოტორი, 4.860 რადიომიმღები „ვეფ-ტრანზისტორ — 12“, 576.000 ფულადი მოგება.

დაუმარცხებლად პირველ ადგილზე

მოსკოვში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში ქალთა შორის. შეჯიბრებაზე წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა მოჭადრაკეები.

პირველი ადგილი დაიკავა მოსკოვის ჩემპიონმა, ინჟინერმა ნ. მედინაიკოვამ, რომელმაც თერთმეტი შესაძლებლიდან რვა ქულა დააგროვა. ნ. მედინაიკოვას არც ერთი პარტია არ წაუგია. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა პროფკავშირთა სპარტაკიადის ჩემპიონი ნ. კონოპლეოვა.

სტუმრებიდან ყველაზე უკეთეს შედეგს მიაღწიეს უნგრელმა უ. ვერეცკომ და ჩეხოსლოვაკელმა კ. ერტოვამ — ხუთნახევარ-ხუთნახევარი ქულა. მათ მეხუთე-მეექვსე ადგილები დაიკავეს.

საქართველო—გელორუსია

მინსკი, 27 დეკემბერი. (ტელეფონით სპეც. კორ.). აქ მიმდინარეობს ამხანაგური შეხვედრა წყალწის ხტომაში საქართველოსა და ბელორუსიის გუნდებს შორის.

გუნდურ ჩათვლაში პირველობა საქართველოს სპორტსმენთა კოლექტივმა მოიპოვა. ერთმანეთისგან ტრამპლინიდან ხტომაში ქალთათვის წარმატება ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელს ა. კალიაგინას ხვდა. 28 დეკემბერს გაიმართება უკანასკნელი შეხვედრები.

3. ინწკირველი.

რეკორდი ყინულზე

გუშინ ჩელიაბინსკში გრძელდებოდა ი. მელნიკოვის მემორიალის პროგრამით გათვალისწინებული შეხვედრები ჩქაროსნულ ციგურაობაში.

1.500 მეტრზე რბენაში ქალთა შორის წარმატებით გამოვიდა ლენინგრადელი სტუდენტი ნ. სტატკევიჩი. მან დისტანცია დაფარა 2 წუთსა და 22,2 წამში და ჩვენი ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა. წინანდელი რეკორდი ეკუთვნოდა ლ. სკობლიკოვას. ნ. სტატკევიჩი ლიდერია მრავალჭიდში — 94 ქულა. მან უკან ჩამოიტოვა მსოფლიოს ჩემპიონი ლ. კაუნისტე და სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი ლ. მახნაჩოვი.

რამდენიმე სტრიქონით

● **ბარბუშში** დამთავრდა ქალაბურთელ ქალთა გუნდების ტურნირი. შეჯიბრების უკანასკნელ დღეს ვილნიუსის „კობირგზტისმა“ მაქსიმალური ჩვენი ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონი რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრენტის გუნდი 51:47 და პირველი ადგილი დაიკავა.

● მსოფლიოს ჩემპიონი ბაიბიან ჯოკერში განაგრძობს ტურნეს კანადაში. მორიგი მატჩი საბჭოთა ჯოკერისტებმა წააგეს კანადის ნაკრებთან 2:3.

● **ჟუთაისის „ტორპედოს“** ფეხბურთელთა გუნდის უფროსმა მწვრთნელად დანიშნულია სპორტის ოსტატი ალიოშა კოტრიკაძე და არა სერგო კოტრიკაძე, როგორც ეს აღნიშნული იყო საკლესიო ინფორმაციაში.

გურგენიძე გრაფიკს მიჰყვება!

ქვირაღდე გოგლიძის მემორიალის მონაწილეებმა გურჯაანში გაატარეს. უცნობელი მოჭადრაკეები ქართული სტუმართმოყვარეობისათვის ტიპიური შესანიშნავი მასპინძლობით აღტაცებული იყვნენ.

ხალხი ბევრი იყო და თვითეული დამსწრის ქცევას კაცი თვალყურს ვერ გაადევნებდა. ყველას მაგიერ ვერ ვიტყვი, ვისაც უარი არ უთქვამს ენახა კარგი ღვინის ჭამნიკი, მაგრამ გარანტიას ვიძლევი, რომ ბუხტი ბურგმენიძ მთელი დღე ზუსტ სპორტულ რიგიმს იცავდა. და მაინც, რა უცნაურიც უნდა იყოს, ორშაბათს, როცა მორიგი ტური უნდა გათამაშებულიყო, თავს კარგად ვერ გრძნობდა. ტურის გათამაშება კი სწორედ დილისათვის იყო დანიშნული. გურგენიძე აპირებდა შეეტყობინებინა ტურნირის არბიტრისათვის, რომ უნდოდა აეღო „ტამ აუტი“, მაგრამ იგი ადგილზე არ დახვდა. იძულებული შეიქმნა ჩაბმულიყო თამაშში (წინააღმდეგ შემთხვევაში ავტომატურ ნულს მიიღებდა). ბუხუტიმ ლ. შამკოვიჩთან შეხვედრა აშკარად თავის შესაძლებლობაზე დაბლა ჩაატარა და სრულიად უბრძოლველად დათმო პარტია. ყოველივე ამას იმიტომ კი არა ვწერთ, რომ გავამართლოთ გურგენიძე ან დავამციროთ მოსკოველი გროსმაისტერის კარგი თამაში. არა, გურგენიძეს აღვოკატი არა სჭირდება. და საერთოდ საკლებულო არ არის გამართლების ძებნა, როცა ავგებ პარტიას ჭადრაკში. ხდება ხოლმე, რომ ადამიანს გამოუვა ცუდი დღე, მით უმეტეს, რომ ლაპარაკია ორშაბათზე, რომელიც, როგორც ცნობილია, ძალიან მძიმე დღეა.

მიუხედავად წარუმატებლობისა, რაც ბუხუტიმ ორშაბათს განიცადა, მთელ კვირას იგი ვერა და ვერ დაემფურება. გურგენიძემ მოუგო რ. ხოლმოვს, გროსმაისტერს, რომელიც ამჟამად ატარებს პარტიას. გურგენიძემ თვითონ სწორად აღნიშნა: — არაფერი საშინელი არ მომხდარა. ჩავთვალოთ, რომ შამკოვიჩთან და ხოლმოვთან შეხვედრებში ყაიმი მქონდა — შედეგი ნორმალურია.

პარასკევს გურგენიძემ „გაკვირვა“ კიდევ ერთი მაგარი კაკალი, რომლის სახელია რ. ფუჭსი. გერმანელმა ოსტატმა პარტიის შემდეგ თქვა: — დებიუტშიც უარესი მდგომარეობა მქონდა და ვერ მოვასწარი გამომეცნო რით ჯინჯიხაშვილს ჩემი პოზიციის სისუსტენი.

საკურნირო ცხრილისათვის თავი ვერ გადავეჩვიე კაცი შენიშნავს, რომ გურგენიძე დასპეციალდა სწორედ იმაში, ვინც ჯერ კიდევ არ დამარცხებულა ამ ტურნირში. მან მოუგო მ. ტალს, ი. ხოლმოვს, რ. ფუჭსს.

გვალისია ტურნირის ნახევარი, ლიდერობა ხელთ იპყრო გურგენიძემ. მოციგურავეებს, ატრიალე მწერალნებს აქვთ ტერმინი — „ტრაფიკს მიჰყვება“. იგიც შეიძლება ითქვას გურგენიძეზე. 8 პარტიის შემდეგ 5,5 ქულა მოაგროვა. პრაქტიკულად ეს ნიშნავს, რომ ბუხუტი დღეს „ნახევრად გროსმაისტერია“. თუ ტურნირის მეორე ნახევარში არ წაიბორძიკებს, დისტანციას ასეთივე თანაბარი ხაბიჯით გაივლის და 4,5 ქულას მოაგროვებს, ქეთილ ინებეთ, ბუხუტის გულშემატკივრებო, მიართვათ მას საჩუქარი, ვთქვათ ასეთი: სადარბაზო ბარათები ასეთი ტექსტით: ბუხუტა გურგენიძე — გროსმაისტერი. ვხარძნობ, რომ ასეთი შეკვეთა შეიძლება გაკეთდეს.

კვირის მაძიებლი გმირი შეიძლება გამხდარიყო მეორე თბილისელი ოსტატიც — რ. ჯინჯიხაშვილი, რომ... დიახ, ახლანდელ შავ პარასკევს რომ არ მოეგანა მისთვის ესოდენ დიდი წყენა, ამასთან მოულოდნელი და დაუმსახურებელი. როგორც მკითხველმა უკვე იცის, ხუთშაბათს ჯინჯიხაშვილმა საბოლოოდ დაძლია შამკოვიჩის უძლიერესი წინააღმდეგობა და 177-ე სვლაზე მოიგო ერთ-ერთი ყველაზე სანჯრძლივი და ძნელი პარტია, როგორიც კი ყოფილა საერთოდ პრაქტიკაში. ასეთი გამარჯვება, ამასთან მაღალი ტექნიკის მეოხებით, მიღწეული ნიშანდობლივი. გასაგებია ახლა, რატომ ჭკვიანი ქანცავს ადამიანს. წარმოიდგინეთ: ეს პარტია 20 საათს გრძელდებოდა. ასეთი მარათონული პარტიის შემდეგ რა ესაჭიროებოდა ჯინჯიხაშვილს? დასვენება, ძილი. მისდა სავალალოდ იგი პარასკევს დილიდანვე უნდა მისჯდომოდა ჭადრაკის დაფას, რომ დაემთავრებინა პორტთან შეხვედრა. თითქოს არაფერი არ უნდა მომხდარიყო, თამაში ყაიმით უნდა დამთავრებულიყო. გვინდა გავასხსენოთ მკითხველს „ისტორიული“ შეშთხვევები პრაქტიკაში, რომლებსაც პირდაპირი, ზუსტი განმარტება არ მოეპოვებათ. გახურებულ ბრძოლაში ყველაფერი ხდება რაც ნებისაგან. ამ შეშთხვევაში, რაც რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში მოხდა, უფრო ის შეიძლება ითქვას, რომ ჯინჯიხაშვილი ძლიერი ნერვული დაძაბულობის, საშინელი დაჭანგვის მსხვერპლი გახდა.

თუ ბოტვინიკს შესაძლებლობა ჰქონდა ასეთი ნერვული შოკის შემდეგ 1958 წელს მოსკოვსაზღო აეარაჩზე წასულიყო, ჯინჯიხაშვილის მდგომარეობა უარესი აღმოჩნდა. ჰორტთან წაგების უკვე ოთხი საათის შემდეგ მას თამაში უნდა დაეწყო ტურნირის სხვა ფავორიტთან, მრისხანე მიშა ტალთან. მსოფლიოს ეკს-ჩემპიონმა პარტია ძლიერად და დამაჯერებლად ჩაატარა, რაც ჯინჯიხაშვილისათვის ისე საწყინი აღარ იყო, როგორც დილით. მიშა ტალს მხოლოდ შეიძლო გამეორებინა ჯინჯიხაშვილისათვის ჰორტის მიერ ნათქვამი მანუკიშებელი სიტყვები: „არა უშავს რა, თქვენ ისეც კარგ ადგილზე ხართ ტურნირში“. მართლაც, ახალგაზრდა ოსტატმა. რომელსაც ტალის და გუშელდის თანაბარად 5 ქულა აქვს, გული არ უნდა გაატეხოს. უფრთხილესი, ჯინჯიხაშვილი მოაგროვებს „თვის“ 7 ქულას, რაც მისთვის საჭიროა საერთაშორისო ოსტატის ტიტულის მოსაპოვებლად.

სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ მეშვიდე ტალი კარგ სპორტულ და ფიზიკურ ფორმაში შედის. გურგენიძესთან წაგების შემდეგ მსოფლიოს ეკს-ჩემპიონმა მოუგო ძირითად თბილისელს ჯინჯიხაშვილს და ახალ თბილისელს — გუფელდს. მ. ტალი ხომ მოვალეა უჩვენოს ყველას, რომ იგი ძვირფასი შენატანია საჭადრაკო თბილისისათვის, თორემ თბილისის მილიციამ შეიძლება არ დარიოს ნება მას მუდმივად გაწერაზე საქართველოს დედაქალაქში.

მედიცინის წარმომადგენლები, რომლებთანაც ტალს საქმე ჰქონდა საოპერაციო მაგიდაზე, ტალის თამაშს რომ უყურებენ, ჯერჯერობით ძლიერ კმაყოფილი არიან პაციენტის გამოსვლით. მოსკოვში ამ დღეებში დაბრუნდა მიხეილ ბოტვინიკი. იგი ძლიერ გაიხარა იმ ამბავმა, რომ ტალი თავს შესანიშნავად გრძნობს.

მოსკოვის ჯვარტაჭი — ბრონშტეინი, ხოლმოვი, შამკოვიჩი, სუეტინი — ჯერჯერობით ვერ ბრწყინავს.

საფეხბურთო ნათელი არ არის ვ. კრობის მდგომარეობა, რამდენადაც გამოტოვებული აქვს პარტია ფუჭსთან. პორტი წელს მონაწილეობდა რვა ტურნირში და ერთხელაც არ გამოსულა მესამე ადგილზე დაბოლა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ფიზიკურად დაღლილია, მისი სათვალავში მიუღებლობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, პირიქით, მის კონკურენციას სერიოზულად უნდა გაეწიოს ანგარიში.

თბილისის ტურნირი ყველაზე პასუხსაგებ ეტაპში შედის — მალე ფინეთია. საზრუნავი თვითეულ მონაწილეს ბევრი აქვს. ლიდერებს უნდათ შეინარჩუნონ თავიანთი ხელსაყრელი მდგომარეობა. ჩამორჩენის ხალისი კი ვისა აქვს! ვის უნდა მოექცეს ტურნირის ცხრილის ბოლოში? არავის.

ერთი სიტყვით, საზრუნავი ყველას საკმაოზე მეტი აქვს. მე გიამბეთ, რა შეიმთხვა ჯინჯიხაშვილს ჰადრაჟის საათის გადამკიდეს. ო, ცაიტნოტი — ეს საშინელი საქმეა. მაგრამ ამ დღეებში ცაიტნოტში მარტო მოჰადრაჟედი როდი არიან. ცაიტნოტშია მთელი წელიწადი — 1969 წელი. საცა არის აღამი ჩამოვარდება და გამოიწდება 1970.

სალო ფლორი.

ტელევიზია

28 დეკემბერი

10.30 — ბავშვებისათვის — „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან). 11.00 — ლ. ქიაჩელი. სატელევიზიო დადგმა „უჩინარა“ (საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოები), 11.30 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.00 — ბავშვებისათვის ზღაპრული ფილმი „ვინ მოიგონა ბორბალი“, 16.40 — „კინოაფიშა“, 17.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.45 — ქრონიკალური, 18.00 — „კინომოგზაურთა კლუბი“ (გადმოცემა მოსკოვიდან). 19.00 — „ჯანმრთელობა“ — სატელევიზიო ჟურნალი, 19.40 — რობოტი. სატელევიზიო დადგმა „მისი მეგობრები“. პრემიერა (საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოები). 20.25 — „ლომაზე“ — საინფორმაციო პროგრამა.